



ეკონომიკა

საკრედიტო რეიტინგი: 2022 წლის 4 თებერვალს, სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად BB დონეზე დაადასტურა, სტაბილური პერსპექტივით. რეიტინგის შენარჩუნების მთავარ მიზეზად, სააგენტო ასახელებს საქართველოს ეფექტური და სანდო ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოს და ძლიერი მმართველობის ინდიკატორებს 'BB' რეიტინგის მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით. Fitch-ის შეფასებით 2021 წელს მაღალი ეკონომიკური ზრდა საქართველოში განაპირობა საშინაო მოთხოვნამ, ძლიერმა ფულადმა გზავნილებმა, ტურიზმის ნაწილობრივმა აღდგენამ და ფისკალურმა სტიმულმა. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში, ექსპორტის მაღალი ზრდა გამოწვეული იყო სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკების აღდგენითა და საერთაშორისო ბაზრებზე მაღალი სასაქონლო ფასებით. Fitch-ი პროგნოზირებს საქართველოს ეკონომიკის 5.5%-იან ზრდას 2022 წელს და 5.3%-იან ზრდას 2023 წელს. სარეიტინგო კომპანია 2022 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების 80%-ით აღდგენას პროგნოზირებს 2019 წლის დონესთან შედარებით. Fitch-ის შეფასებით, ეკონომიკური ზრდის რისკებს ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და ვაქცინაციის ნელი ტემპი წარმოადგენს.


საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2022 წლის იანვარში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 0.6%-ით შემცირდა და 4.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით რეზერვები 4.5%-ით შემცირდა (-194.0 მლნ აშშ დოლარი). ამასთან, იანვარში სავალუტო აუქციონი არ გამართულა და რეზერვების ცვლილება უკავშირდება მთავრობის და საბანკო სექტორის სავალუტო ოპერაციებს, და/ან აქტივების გადაფასებას.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2020	2021E
რეალური მშპ-ს ზრდა	-6.8%	10.6%
მშპ ერთ სულზე (PPP)	14,849	17,391
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,256	5,017
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.4%	13.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.9	4.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	12.4%	9.7%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	9.3%	6.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	60.2%	49.6%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მლრდ აშშ დოლარი



წყარო: სებ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2022 წლის 8 თებერვალს 1-წლიანი 20 მლნ ლარის (6.8 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.3-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0943პ-ით შემცირდა და 9.913% შეადგინა.


უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2022 წლის 22 თებერვალს, სადაც 5-წლიანი 80 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2022 წელი

ვადიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	40	200	105
1-წელი	40	350	195
2-წელი	140	820	1,130
5-წელი	87	993	2,718
10-წელი	25	75	1,331
სულ	332	2,438	5,479


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.15%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 105.46 (+0.02% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.03 (+0.18% წინა კვირასთან შედარებით), 5.59%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 97.05 ფასად (-1.07% წინა კვირასთან შედარებით), 4.54%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 96.53 (-0.96% წინა კვირასთან შედარებით), 3.65%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	96.53	3.65	186.43
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	97.05	4.54	271.18
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	105.46	2.15	75.82
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	109.37	9.91	513.65
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B2	101.03	5.59	399.36
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B-/B1	102.11	7.86	599.52
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	104.51	3.72	207.61
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	108.43	10.10	552.80
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+ */B/-	105.91	5.84	245.35

ადგილობრივი ობლიგაციები


KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.50%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 15.80 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +8.97% წინა კვირასთან შედარებით და +0.89% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 379 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 14.28 - 15.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 59 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 16.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +10.65% წინა კვირასთან შედარებით და +4.30% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 130 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 14.50 - 16.02 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 32 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.81 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.58% წინა კვირასთან შედარებით და +1.64% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 314 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.69 - 7.05 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 118 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	15.80	777	0.0%	39.6%	-5.3%	4.69x	4.70x	1.02x	0.93x
TBC	TBC	GBP	16.00	882	20.3%	33.8%	-3.0%	5.16x	4.88x	1.04x	0.87x
Halyk Bank	HSBK	US\$	14.17	76,445	-20.7%	-1.7%	-11.7%	4.75x	4.63x	0.98x	0.89x
Sberbank	SBER	USD	14.32	4,208	-8.0%	6.5%	-13.2%	4.17x	3.95x	1.07x	0.96x
VTB Bank	VTBR	US\$	1.07	6,921	-24.4%	10.2%	-15.2%	2.01x	2.07x	0.32x	0.30x
Akbank	AKBNK	TRY	8.12	42,224	51.5%	21.2%	12.8%	3.99x	2.08x	0.57x	0.45x
Garanti	GARAN	TRY	11.94	50,148	33.4%	20.1%	5.9%	3.79x	2.14x	0.66x	0.50x
Isbank	ISCTR	TRY	8.83	39,735	66.3%	38.4%	22.8%	3.54x	2.07x	0.50x	0.37x
PKO	PKO	PLN	47.65	59,563	18.8%	68.8%	6.1%	12.50x	10.31x	1.39x	1.28x
PEKAO	PEO	PLN	133.15	34,948	27.7%	101.4%	9.1%	16.99x	12.12x	1.36x	1.26x
Millennium	MIL	PLN	8.84	10,723	60.7%	132.5%	7.9%	10.73x	12.87x	1.40x	1.32x
Mbank	MBK	PLN	475.40	20,142	47.5%	150.7%	9.7%	-60.95x	31.10x	1.30x	1.17x
BRD	BRD	RON	21.30	14,844	12.8%	51.3%	20.3%	12.76x	12.20x	1.58x	1.59x
Banca Transilvania	TLV	RON	2.72	17,136	-0.1%	29.3%	5.2%	9.10x	8.57x	1.61x	1.49x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	-1.8%	0.0%	8.16x	6.88x	0.67x	0.55x
Komercni	KOMB	CZK	989.50	188,054	18.9%	46.6%	5.8%	15.76x	12.84x	1.56x	1.51x
საშუალო								3.57x	8.34x	1.07x	0.97x
მედიანა								4.96x	5.88x	1.06x	0.95x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.81	323	5.7%	32.2%	-4.5%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.24	481	5.1%	5.9%	-1.5%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	15.52	31,667	58.5%	35.5%	17.3%	2.99x	3.82x	0.68x	0.57x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	37.05	697	-4.0%	3.0%	-7.0%	3.81x	10.24x	1.00x	0.99x
Eurazeo	RF	EUR	70.45	5,581	-20.0%	12.0%	-8.3%	8.18x	8.86x	0.92x	0.83x
Carlyle Group	CG	USD	48.85	17,315	2.7%	31.4%	-11.0%	11.44x	11.23x	6.64x	3.52x
საშუალო								6.61x	8.54x	2.31x	1.48x
მედიანა								6.00x	9.55x	0.96x	0.91x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაზე.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge